საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-11/92

ქ. ბათუმი 11 ოქტომბერი, 2018 წელი

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24–ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურის უფროსის მამუკა გოგელიას 2018 წლის 10 ოქტომბრის MES 5 18 01306755 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებლის ერთი საათის შრომის ანაზღაურება (ტარიფი) 2018 წლის 8 ოქტომბრიდან განისაზღვროს 13 ლარით.
2. 2018 წლის 8 ოქტომბრიდან ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,ბსუ-ს ზოგიერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მოწვეული პერსონალის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 29 იანვრის N01-11/2 ბრძანება და ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე უმაღლესი აკადემიური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე მცირერიცხოვან ჯგუფების აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 16 ნოემბერის N01-11/77 ბრძანების პირველი პუნქტი.
3. ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და ფაკულტეტებს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე